ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სსიპ -ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში

2013-2014 წლების ანგარიში

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge"-ფარგლებში.**

ფინანსური მხარდაჭერა - ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო"

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს"** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.*

სარჩევი

შესავალი 3

მოთხოვნილი და მიღებული საჯარო ინფორმაცია 4

სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების და საქვეუწყებო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 9

საქართველოს სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შედარება წინა წლების პროექტის მაჩვენებლებთან 27

დამოუკიდებელი სსიპ-ების, მარეგულირებელი კომისიების და სხვა საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 30

დასკვნა 34

შესავალი

2013 წლის ოქტომბერში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, განაახლა პროექტი საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge, რომელიც წარმოადგენს 2010 წელს ინსტიტუტის მიერ დაწყებული პროექტის გაგრძელებას. პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითად კომპონენტს, წინა პროექტების მსგავსად, კვლავაც წარმოადგენს საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის ანალიზი-შეფასება.

2014 წლის მაისის თვეში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, IDFI-იმ წარმოადგინა 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მარტამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის ანალიზი-შეფასება საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში (პარლამენტი, მთავრობის კანცელარია, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრის აპარატები, აჭარის ა/რ მთავრობა და სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, აფხაზეთის ა/რ მთავრობა). ამჯერად ჩვენს მიერ წარმოდგენილია **2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის ივლისამდე პერიოდში** საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის ანალიზი **საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებებში (სულ 80 საჯარო დაწესებულება)**.

➢ მოთხოვნილი და მიღებული საჯარო ინფორმაცია

წინამდებარე კვლევის განხორციელების პერიოდში, ინსტიტუტის მიერ 80 საჯარო დაწესებულებებისთვის სულ გაგზავნილია **1354** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა. მოთხოვნები მოიცავდა იმგვარ ინფორმაციას, რომლის მოლოდინიც, რომ იგი შეიძლება წარმოადგენდეს საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას ან დახურულ პერსონალურ მონაცემებს, არ არსებობდა.

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტმა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს გაუგზავნა სტანდარტული შინაარსის განცხადებები (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები). ასევე, სხვადასხვა დაწესებულებებს კითხვები გაეგზავნათ განსხვავებული მოთხოვნებით. სტანდარტული შინაარსის კითხვების შედგენისას ინსტიტუტის მიერ გათვალისწინებული იქნა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც ბევრ საჯარო დაწესებულებას უკვე განთავსებული ჰქონდა საკუთარ ვებ-გვერდებზე. **ის ინფორმაცია, რომელიც დეტალურად იყო გამოქვეყნებული კონკრეტული დაწესებულების მიერ საკუთარ ვებ-გვერდზე ინსტიტუტის მხრიდან აღარ იქნა დამატებით მოთხოვნილი.**

კვლევის განხორციელების პერიოდში, გარდა სტანდარტული მოთხოვნებისა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და მოქალაქეებისგან ინსტიტუტში შემოსული თხოვნების გათვალისწინებით, ზოგიერთ საჯარო დაწესებულებას დამატებით გაეგზავნა მოთხოვნები კონკრეტული საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მათი საქმიანობის სფეროს შეეხებოდა.

კვლევის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი სტანდარტული და არასტანდარტული მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკებზე.


IDFI
სტანდარტული მოთხოვნები
პრემია, დანამატი, სარგო
• თანამდებობის პირების პრემიები და სახელფასო დანამატები ცალ-ცალკე თვეების მიხედვით
• საშტატო ნუსხა თანამდებობრივი სარგოს მითითებით
სამივლინებო ხარჯები
• თარიღი, ქვეყანა, მიზანი, ხარჯები ჩაშლილად (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური)
• როუმინგის ხარჯები
აუდიტები
• აუდიტის აქტები
• შედეგების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნა
• დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება
• გატარებული ღონისძიებები
სახელმწიფო შესყიდვები
• გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები
• შესყიდვების გადაუდებლად განხორციელების შესახებ შესაბამისი მიწერილობა
ავტოპარკი
• ავტომობილებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჩანაცვლება
• ბალანსზე რიცხული ავტომობილები
წარმომადგენლობითი ხარჯები
• ღონისძიების ჩატარების ადგილი, დრო, ხარჯი და სტუმართა რაოდენობა
სხვა ინფორმაცია
• ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების დიპლომები
• ხელმძღვანელის ელ. ფოსტიდან მიღებული და გაზავნილი წერილები


არასტანდარტული მოთხოვნები
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
გუდაურში მდებარე საცხოვრებელი ფართის და მიწის ნაკვეთის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთვის უსასყიდლოდ გადაცემის და შემდგომში აღნიშნული ქონების საქართველოს პროკურატურისათვის გადაცემის შესახებ დოკუმენტაცია
იუსტიციის სახლი
2005-2013 წლებში უცხოელებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
2004 -2014 წლებში დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების (ააიპ) რაოდენობა.
საკანონმდებლო მაცნე
მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალი დამფუძნებელი და იმ ორგანოების მითითებით ვის დაქვემდებარებაშიც იმყოფებიან
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
2004-2014 წლებში ფინანსური ხასიათის დანაშაულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია
მთავარი პროკურატურა
ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია
კომუნიკაციების ეროვნული კომისია
ინტერნეტ მომხმარებელთა შესახებ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია
ეროვნული ბანკი, აუდიტის სამსახური
იუსტიციის სახლების მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია
სხვადსხვა დამოუკიდებელი დაწესებულებები
პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებიზთ მიღებული სამართლებრივი აქტები

კვლევის განხორციელების პერიოდში, ინსტიტუტმა, 80 საჯარო დაწესებულებისათვის გაგზავნილ 1354 მოთხოვნაზე, სრულყოფილი პასუხი მიიღო 597 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 56 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 28 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 241 მოთხოვნა, ხოლო 432 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებში და ასევე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებლების შედგენისას ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული იმგვარი პასუხები, სადაც იუწყებიან რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნიათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ. შესაბამისად ხსენებული 80 უწყების შემთხვევაში მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 922 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.



საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება დაწესდეს 10 დღიანი ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა დიდი მოცულობის ინფორმაცია, ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ათი სამუშაო დღე, მიუხედავად იმ ფაქტისა, დაწესებულებამ მოითხოვა თუ არა 10 დღიანი ვადა ინფორმაციის გასაცემად.

საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილი 1354 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან ინსტიტუტმა 969 შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო 10 დღიანი ვადის დაცვით, ხოლო, ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მიერ უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, 385 შემთხვევაში დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა.



➢ სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების და საქვეუწყებო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის ივლისამდე, საქართველოს სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ 61 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და საქვეუწყებო დაწესებულებას, ინსტიტუტმა მიმართა 1009 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელთაგან სრულყოფილი პასუხი მიიღო 429 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 40 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 17 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 202 მოთხოვნა.

321 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელების შედგენისას ამგვარი პასუხები არ არის ასახული.



ინსტიტუტის შეფასებით, კვლევის პერიოდში საშუალოდ ყველაზე მაღალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი **(96,25%) მიიღეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულმა უწყებებმა**. მათ მცირედით ჩამოუვარდება **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (95,56%)** და **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (94,53%) დაქვემდებარებული უწყებების** საშუალო მაჩვენებლები. კვლევის მიხედვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებლები მიიღეს **საქართველოს შინაგან საქმეთა (32,86%) და იუსტიციის (40,2%) სამინისტროებს დაქვემდებარებულმა უწყებებმა.**



➢ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი მიიღეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა.

წინამდებარე კვლევის განხორციელების პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილები (სულ 67 მოთხოვნა) გაეგზავნათ აღნიშნული სამინისტროს დაქვემდებარებულ ოთხ უწყებას, რომელთაგან სამმა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვით, ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი გასცა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2013 წლის მაისის თვეში ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მარტის ჩათვლით) მიხედვით უშუალოდ **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი მიიღო**.



საავტომობილო გზების დეპარტამენტის შემთხვევაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 85% - იანი მაჩვენებელი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათ

მიერ არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების, სამივლინებო ხარჯებისა და გადაუდებელი აუცილებლობით განპირობებულ შესყიდვებზე შესაბამისი მიწერილობის შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/1176
28/02/2014

1176-2-01-2-20140228192

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

საავტომობილო გზების დეპარტამენტში მიმდინარე წლის 20 თებერვალს შემოვიდა, თქვენი 2014 წლის 17 თებერვლის N OPD02/14-058 წერილი.

აღნიშნული წერილის პასუხად გიგზავნით:

1. 2013 წელს, თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობას თვეების მიხედვით – დანართი N1 (პირველი შეკითხვა).
2. 2013 წელს, თანამდებობის პირებზე ხახელეფასო დანამატი სამტატო ნუსხით არ იყო გათვალისწინებული (მე–2 შეკითხვა)
3. 2012 წლის პირველი იანვრისთვის მოქმედ სამტატო ნუსხას წინამძღვარე წერილის მიღების მომენტამდე განორგიელებული ცვლილებებით (ე–3 შეკითხვა);
4. 2014 წლის იანვარში, დეპარტამენტის ხელმძღვანელის სამუშაო ელექტრონული ფოსტით საშსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული წერილების ასლებს. ამასთანავე გაგაფრთხილებთ რომ, აღნიშნულ წერილებზე პასუხი გაიგზავნა საქართველოს ფოსტით (მე–4 შეკითხვა);
5. ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს (ე–5 შეკითხვა);
6. 2013 წელს, გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი შეადგენს 23 538 ლარს (მე–6 შეკითხვა)

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოწოდებულია მხოლოდ 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების ჯამური ოდენობა

➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებები (სულ 90 მოთხოვნა) გაგზავნილია მის დაქვემდებარებაში მყოფ ხუთ უწყებაში. მასწავლებელთა პროფესიული განათლებისა და შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებლი, ხოლო დანარჩენი უწყებებიდან არც-ერთის მაჩვენებელი არ ჩამოუვარდება 90%-ს.

2013 წლის მაისის თვის მონაცემებით, უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 78,7%-ს.



➢ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული 8 უწყებიდან, ინსტიტუტის შეფასებით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი მიიღო ხუთმა უწყებამ. ამ სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (70%) მიიღო სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ. კვლევის პერიოდში აღნიშნული 8 უწყებისათვის სულ გაგზავნილია 128 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის მაისის თვის მდგომარეობით, უშუალოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 36,1%, რაც დაახლოებით ორჯერ ჩამოუვარდება მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებს შორის მიღებულ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს.



➢ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

კვლევის განხორციელების პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები (სულ 35 მოთხოვნა) გაიგზავნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ ორ უწყებაში. დაცული ტერიტორიების სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 92,3%, ხოლო გარემოს ეროვნული სააგენტოსი - 90,9%.

2014 წლის მაისის თვეში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 100%.



როგორც დაცული ტერიტორიების, ასევე გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უარი განაცხადეს 2014 წლის იანვრის თვეში ხელმძღვანელის სამუშაო ელექტრონული ფოსტიდან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების განსაჯაროებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანალოგიური შინაარსის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.



გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

№ 12-15/660 26 02 2014 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის

დირექტორს ბატონ გიორგი გლდანაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 17 თებერვლის NOPD02/14-067 წერილის პასუხად, გიგზავნით მასალებს ელექტრონული სახით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37 ე, 38 ე და მე-40 მუხლების შესაბამისად:

ა) 1, 2, 3, და 4-ე პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია იხილეთ - დანართი 1.

ბ) 5-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია იხილეთ - დანართი 2.

გ) 6-ე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის თაობაზე განცხადებთ, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მალვა ჯაფარიძის სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტიდან მიღებული/ გაგზავნილი წერილების მოწოდება შეუძლებელია შემდეგი გარემოებების გამო: ა) შემოსული/გასული წერილების ნაწილი არის წაშლილი; ბ) შემოსული/გასული წერილები არის პერსონალური; გ) შემოსული/გასული წერილების ნაწილი ეხება მიმდინარე პროექტებსა და ინიციატივებს;



Khatuna Gogaladze (MOE)

Subject:	ხელმწერა - შეეიგარიის ელჩი, შსს მინისტრი
Location:	Court Yard Marriott!!
Start:	Tue 2/4/2014 12:00 PM
End:	Tue 2/4/2014 1:30 PM
Show Time As:	Tentative
Recurrence:	(none)
Meeting Status:	Not yet responded

<< >> << >> << >>

pr_4 2 2014 SDC.DOC | 140202_MOU English_Final.pdf | 140202_MOU Georgian_Final.pdf

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტი

➢ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სამი უწყებიდან, ინსტიტუტის შეფასებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვით, ყველა მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა **ღვინის ეროვნულმა სააგენტომ**. სურსათის ეროვნული სააგენტოს შემთხვევაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 90%, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის - 80%. კვლევის პერიოდში აღნიშნული 3 უწყებისათვის სულ გაგზავნილია 47 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ინსტიტუტის მიერ განხორციელებული უკანასკნელი კვლევის მიხედვით, შეადგენდა 99,7%-ს.



➢ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები (სულ 85 მოთხოვნა) გაგზავნილია მის დაქვემდებარებაში მყოფ ხუთ უწყებაში. მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (100%) მიიღო სოციალური მომსახურების სააგენტომ, ხოლო ყველაზე დაბალი (63,6%) - ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურმა.

შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 70,8% ჩამოუვარდება მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების უმრავლესობის ანალოგიურ მაჩვენებლებს.



➢ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები (სულ 50 მოთხოვნა) გაგზავნილია მის დაქვემდებარებაში მყოფ სამ უწყებაში. მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მიიღო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ - 73.3%.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ინსტიტუტის** ყველა მოთხოვნა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვით სრულყოფილად დააკმაყოფილა.



➢ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ექვს უწყებას შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღო შემოსავლების სამსახურმა - 89,1%, ხოლო ყველაზე დაბალი -სახელმწიფო ხაზინამ - 58,3%. კვლევის პერიოდში აღნიშნული 6 უწყებისათვის სულ გაგზავნილია 100 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი (57%) ჩამოუვარდება მის დაქვემდებარებაში მყოფი ექვსივე უწყების ანალოგიურ მაჩვენებელს.



➢ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ სამ უწყებას შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღო ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულმა ცენტრმა - 90%. კვლევის პერიოდში აღნიშნული 3 უწყებისათვის სულ გაგზავნილია 52 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

2014 წლის მაისის თვეში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი შეადგენდა 100%-ს. სამწუხაროდ სამინისტროსგან განსხვავებით მის დაქვემდებარებაში მყოფი სამი უწყებიდან ვერც-ერთმა უზრუნველყო ინსტიტუტის ყველა მოთხოვნის სრულყოფილად დაკმაყოფილება.



➢ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ოთხი უწყების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალოდ დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (75%), განპირობებულია იმ ფაქტით, რომ **სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ინსტიტუტის არცერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მისმა მაჩვენებელმა შეადგინა 0%**.

დანარჩენმა სამმა უწყებამ კვლევის პერიოდში ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვით სრულყოფილად დააკმაყოფილა და შესაბამისად თითოეულის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 100%. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 4 უწყებისათვის სულ გაგზავნილია 64 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.



2014 წლის 4 ივნისს IDFI -იმ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ბატონ სოზარ სუბარს მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით, მის

დაქვემდებარებაში მყოფი უწყების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების არ შესრულების გამო. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ დააკმაყოფილა ინსტიტუტის საჩივარი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაევალა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა. მიუხედავად აღნიშნული გადაწყვეტილებისა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ინსტიტუტისათვის ინფორმაცია დღემდე არ მოუწოდებია.

დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს საჯარო ინფორმაცია წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ გაცნობიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

პატივისცემით,

გრიგოლ გიორგაძე
მინისტრის პირველი მოადგილე

➢ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში, კვლევის განხორციელების პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები (სულ 180 მოთხოვნა) გაეგზავნა სამინისტროს დაქვემდებარებულ თერთმეტ უწყებას. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 94,5%. მას მცირედით ჩამოუვარდება მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი - 91,9%.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული 11 უწყების მნიშვნელოვნად დაბალი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი (40,2%) განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კვლევის პერიოდში ხუთმა დაწესებულებამ ინსტიტუტის არცერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სულ კვლევის პერიოდში იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების მიერ უპასუხოდ დატოვებულია ინსტიტუტის 99 მოთხოვნა.



➢ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებს.

კვლევის განხორციელების პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილები (სულ 111 მოთხოვნა) გაეგზავნათ შსს-ის დაქვემდებარებულ შვიდ უწყებას, რომელთაგან ოთხმა ინსტიტუტის არცერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნული უწყებების მიერ სულ უპასუხოდ დატოვებულია ინსტიტუტის 64 მოთხოვნა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის მაისის თვეში განხორციელებული კვლევის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელის მიხედვით, საქართველოს სამინისტროებს შორის მიიღო ყველაზე დაბალი პროცენტი (31%).

შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების ზემოთ მოყვანილი დაბალი მაჩვენებლები, ცხადყოფს აღნიშნული სამინისტროს სისტემაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.



➢ საქართველოს სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შედარება წინა წლების პროექტის მაჩვენებლებთან

2013 წლის სექტემბრის თვეში IDFI-ის მიერ წარმოდგენილი კვლევის „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2012-2013 “ მიხედვით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, საქართველოს საჯარო დაწესებულებებში (მათ შორის სამინისტროებს დაქვემდებარებულ სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში) შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის მკვეთრი გაუმჯობესების თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი იქნას რამდენად შენარჩუნებულია სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებში საპარლამენტო არჩევნების შემდგომ არსებული დადებითი ტენდენციები.

2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის ივლისი პერიოდში სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლების 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საწყის ეტაპზე არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით ირკვევა, რომ **სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია 27%-ით, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები გაზრდილია 26%-ით.**



საქართველოს სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლების გაუარესება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მთელმა რიგმა დაწესებულებებმა, რომლებიც გასული წლის განმავლობაში IDFI-ის პროექტის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკამოდ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ, ამჯერად ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს. შესაბამისად, ხსენებული დაწესებულებების არა ანგარიშვალდებულება უარყოფითად აისახა სამინისტროების დაქვემდებარებული უწყებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელზე.

სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები, რომლებმაც წარმოადგინეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე გაუარესებული პრაქტიკა		
დაწესებულება	მიმდინარე პროექტი (2013 ოქტომბერი - 2014 ივნისი)	განვლილი პროექტი 2012 ოქტომბერი - 2013 სექტემბერი)
საქართველოს ეროვნული არქივი	0%	99,5%
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	0%	99%
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	0%	96,7%
ნოტარიუსთა პალატა	0%	90,6%
დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	0%	89,5%
დანაშაულის, პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	0%	88,3%
შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	0%	87,6%
იუსტიციის სახლი	11,1%	96,6%
საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი 112	0%	84,2%
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	0%	80,2%
შსს - მომსახურების სააგენტო	0%	78%

➢ დამოუკიდებელი სსიპ-ების, მარეგულირებელი კომისიების და სხვა საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

წინამდებარე კვლევის განხორციელების პერიოდში, IDFI-იმ, სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების გარდა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილები გაგზავნა აგრეთვე დამოუკიდებელ სსიპ-ებში, მარეგულირებელ კომისიებში და სხვა საჯარო დაწესებულებებში.

2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის ივლისამდე, აღნიშნულ 19 ადმინისტრაციულ ორგანოს სულ გაეგზავნა 345 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, რომელთაგან ინსტიტუტმა სრულყოფილი პასუხი მიიღო 168 განცხადებაზე, არასრულყოფილი პასუხი იქნა გაცემული 16 მოთხოვნაზე, უარს ადგილი ჰქონდა 11 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 39 მოთხოვნა.

111 შემთხვევაში დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელების შედგენისას ამგვარი პასუხები არ არის ასახული.



ზემოთაღნიშნული 19 საჯარო დაწესებულებიდან 16-ის შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები მერყეობს 80% -დან 100%-მდე. 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის ივლისამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ 10 დღიანი ვადის დაცვით IDFI-ის მიერ გაგზავნილ ყველა მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა **საჯარო სამსახურის ბიურომ, სახალხო დამცველის აპარატმა**, **დაზვერვის სამსახურმა** და **პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ**.



როგორც ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, აღნიშნულ უწყებებს შორის კვლევის პერიოდში, ყველაზე არა-ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ **სავაჭრო სამრეწველო პალატა - 0%, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 8.3%, საქართველო პროკურატურა (54,6%).**

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიამ, IDFI-ის შეფასებით, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი დაუსაბუთებელი უარით, მიმდინარე პროექტის განმავლობაშიც, კვლავაც ერთ-ერთ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს საქართველოში. 2012-2013 წლებში კომისია IDFI-ის მიერ დასახელებულ იქნა როგორც ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება საქართველოში.

საქართველოს მთავარი პროკურატურის და სავაჭრო სამრეწველო პალატის შემთხვევაში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც წინამდებარე კვლევამ ცხადყო, საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ ნაჩვენები დადებითი ტენდენციები დაკავშირებული იყო მხოლოდ ახალი ხელმძღვანელობის მოღვაწეობის საწყის ეტაპთან.

დაწესებულება	მიმდინარე პროექტი	განვლილი პროექტი
სავაჭრო სამრეწველო პალატა	**0%**	**96%**
საქართველოს პროკურატურა	**54,6%**	**70,1%**

2014 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ გიორგი ბადაშვილს წარედგინა ადმინისტრაციული საჩივარი, მისი უწყების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების (საჯარო ინფორმაციის გაცემისგან თავის არიდება) შეუსრულებლობის შესახებ. 3 სექტემბერს ინსტიტუტმა მიიღო საქართველოს მთავარი პროკურატურის გადაწყვეტილება ჩვენს მიერ წარდგენილ ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებით. წერილში განმარტებულია, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არის ღია საჯარო ინფორმაცია და შესაბამისად ხაზგასმულია, რომ ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, IDFI-ს მოთხოვნილი ინფორმაცია მიეწოდა მხოლოდ ნაწილობრივ. კერძოდ წერილით მოთხოვნილი 16 სახის ინფორმაციიდან სრულყოფილად პასუხი გაეცა 4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციას, ნაწილობრივ მოგვეწოდა პასუხი 6 შეკითხვაზე, ხოლო 6 საკითხთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ შესაბამისი ქმედება პროკურატურის მხრიდან არ განხორციელებულა.

დასკვნა

საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ, შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგადი პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით. IDFI გამოთქვამდა იმედს, რომ საქართველოში ადმინისტრაციულ ორგანოების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მზარდი ტენდენცია შენარჩუნებული იქნებოდა მომავალშიც. თუმცა, წინამდებარე კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მთელი რიგი დაწესებულებების შემთხვევაში, პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ ნაჩვენები დადებითი ტენდენციები დაკავშირებული იყო ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის მხოლოდ საწყის ეტაპთან, როდესაც საჯარო დაწესებულებების მიერ რაიმე სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის სურვილი ნაკლებად არსებობს.

უარყოფითი ტენდენციების მხრივ აღსანიშნავია საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების დაქვემდებარებული უწყებები, რომელთა უმრავლესობამ კვლევის პერიოდში IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საქართველოს პროკურატურა, სავაჭრო სამრეწველო-პალატა, რომლებმაც არ მოგვაწოდეს ის ინფორმაცია, რომლის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნა მათ მიერ საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე, 2013 წლის დასაწყისში.

ამავდროულად, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში შენარჩუნებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებლები. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები, რომლთა უმრავლესობა კვლავ ინარჩუნებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უმაღლეს - 100%-იან მაჩვენებელს იმ ფონზე, როდესაც უშუალოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპთან შედარებით შემცირდა 61%-ით.

N	დაწესებულება	მოთხოვნების რაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა %
1	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	14	14	0	0	0	14	100%
2	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	13	13	0	0	0	13	100%
3	ეროვნული მუზეუმი	12	12	0	0	0	12	100%
4	საჯარო სამსახურის ბიურო	11	11	0	0	0	11	100%
5	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	11	11	0	0	0	11	100%
6	სოციალური მომსახურების სააგენტო	11	11	0	0	0	11	100%
7	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	10	10	0	0	0	10	100%
8	მუნიციპალური განვითარების ფონდი	10	10	0	0	0	10	100%
9	დაზვერვის სამსახური	10	10	0	0	0	10	100%
10	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	9	9	0	0	0	9	100%
11	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	9	9	0	0	0	9	100%
12	პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	9	9	0	0	0	9	100%
13	მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი	9	9	0	0	0	9	100%
14	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	8	8	0	0	0	8	100%
15	ღვინის ეროვნული სააგენტო	8	8	0	0	0	8	100%
16	სახალხო დამცველის აპარატი	7	7	0	0	0	7	100%
17	იურიდიული დახმარების სამსახური	6	6	0	0	0	6	100%
18	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	6	6	0	0	0	6	100%
19	სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	5	5	0	0	0	5	100%
20	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	5	5	0	0	0	5	100%

21	ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	5	5	0	0	0	5	100%
22	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16	15	1	0	0	16	96.90%
23	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14	13	1	0	0	14	96.40%
24	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	13	12	1	0	0	13	96.20%
25	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	11	10	1	0	0	11	95.50%
26	აღსრულების ეროვნული ბიურო	11	10	1	0	0	0	94.50%
27	ცენტრალური საარჩევნო კომისია	15	14	0	0	1	14	93.30%
28	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	7	6	1	0	0	7	92.90%
29	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	13	11	2	0	0	13	92.30%
30	ეროვნული ბანკი	13	11	2	0	0	13	92.30%
31	დაცული ტერიტორიების სააგენტო	13	12	0	1	0	13	92.30%
32	ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	14	13	0	0	1	0	91.90%
33	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	7	6	1	0	0	0	91.90%
34	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	11	9	2	0	0	11	90.90%
35	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	11	10	0	0	1	10	90.90%
36	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	11	10	0	0	1	10	90.90%
37	გარემოს ეროვნული სააგენტო	11	10	0	1	0	11	90.90%
38	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	21	18	2	1	0	14	90.10%
39	ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი	5	4	1	0	0	5	90%
40	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	10	9	0	0	1	9	90%
41	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	10	9	0	0	1	9	90%

42	სურსათის ეროვნული სააგენტო	10	9	0	1	0	10	90%
43	შემოსავლების სამსახური	10	9	0	0	1	0	89.10%
44	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	9	8	0	1	0	9	88.90%
45	სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	9	8	0	1	0	9	88.90%
46	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	9	8	0	1	0	0	88%
47	სასაზღვრო პოლიცია	16	12	4	0	0	16	87.50%
48	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი	8	7	0	0	1	7	87.50%
49	ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრი	8	6	2	0	0	0	86.50%
50	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	10	7	3	0	0	10	85%
51	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	10	8	1	1	0	10	85%
52	ფინანსური მონიტორინგის სამსახური	10	8	1	0	1	9	85%
53	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	6	5	0	1	0	6	83.30%
54	საქპატენტი	12	9	2	0	1	11	83.30%
55	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	10	8	0	0	2	8	80%
56	საკანონმდებლო მაცნე	13	9	3	1	0	0	79.80%
57	საფინანსო ანალიტიკური სამსახური	9	6	2	0	1	8	77.80%
58	ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	11	8	1	1	1	10	77.30%
59	სმართ ლოჯიქი	9	6	2	0	1	0	76.90%
60	ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	12	6	6	0	0	12	75%
61	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	16	12	0	0	4	12	75%
62	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	15	11	0	0	4	12	73.30%
63	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	15	7	7	0	1	14	70%
64	ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური	11	7	0	1	3	8	63.60%

65	სახელმწიფო ხაზინა	6	2	3	1	0	6	58.30%
66	შსს აკადემია	10	5	1	4	0	10	55%
67	პროკურატურა	15	8	6	0	1	4	54,6%
68	იუსტიციის სახლი	18	2	0	0	16	2	11.10%
69	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	12	0	2	9	1	11	8.30%
70	დაცვის პოლიცია	12	0	0	0	12	0	0%
71	საქართველოს ეროვნული არქივი	14	0	0	0	14	0	0%
72	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	16	0	0	2	14	0	0%
73	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	17	0	0	0	17	0	0%
74	შსს მომსახურების სააგენტო	17	0	0	0	17	0	0%
75	საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი 112	17	0	0	0	17	0	0%
76	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	17	0	0	0	17	0	0%
77	ნოტარიუსთა პალატა	18	0	0	0	18	0	0%
78	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	18	0	0	0	18	0	0%
79	დანაშაულის, პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი	18	0	0	0	18	0	0%
80	სავაჭრო სამრეწველო პალატა	18	0	0	0	18	0	0%